

პროექტის ბანმარტემა

პროექტი № NV-13/18 დამუშავდა 2018 წლის საინვესტიციო გეგმის თანახმად, რომელიც ეხება ქ. თბილისში მუხიანის დასახლებაში, მე-2-ე მ/რ, კორპუსი №6-ის 0,4 კვ. ძაბვით ელ. მომარაგების სამწვერიანი მიწისქვეშა ამორტიზებული ძალოვანი კაბელის შეცვლას 4 წვერიანი კაბელით.

9 სართულიანი 2 სადარბაზოიანი საცხოვრებელი კორპუსის პირველი სადარბაზოს შესასვლელის გარე კედელზე არის დადგმული ძალოვანი გამანაწილებელი კარადა, საიდანაც 0,4 კვ. ძაბვით მარაგდება კიბის უჯრედებში დადგმული აღრიცხვის კვანძის კარადები.

გაითხაროს საკაბელო ტრანში ს/ჯ № 9025-დან კორპ. № 6-ის მიმართულებით შიდა კვარტალური ასფალტირებული ეზოს გვერდით გრუნტში, ამავე ეზოს გადაკვეთაში არსებულ ძალ. გამანაწილებელ კარადამდე, მოეწყოს საკაბელო ბაღიში წვრილფრაქციური ქვიშით, მიწისქვეშა კომუნიკაციების გადაკვეთაში ჩაიდოს სქელკედლიანი დამცავი მილი, რომელშიდაც გატარდეს სამონტაჟო კაბელი, ჩაიდოს კაბელი ABBГ1(4*150)MM2 კვეთის, მიეყაროს ქვიშა, სავალ ნაწილზე დაეყაროს ქვიშა-ხრეში, სამანქანო გზის გადაკვეთაში დაეყაროს ღორღი – დაიტკეპნოს და დაიგოს ასფალტი. ეზოს გვერდით გრუნტში დაეყაროს ამოღებული გრუნტი და დაიტკეპნოს.

ს/ჯ № 9025-ის 0,4 კვ. ძაბვის ნაკვეთურში არსებულ გამავალ სახაზო კარადაში და საცხოვრებელი სახლის პირველ სადარბაზოსთან არსებულ ძალ. გამანაწ. კარადაში გაითიშოს ძალოვანი გამთიშველები, გამოიხსნას არსებული ამორტიზებული სამწვერიანი კაბელი, ახალ ჩადებულ კაბელს გაუკეთდეს საბოლოო ქუროები და შეერთდეს გამოხსნილი ძველი კაბელის ადგილზე ს/ჯ-ში და კორპ. №6-ის სადარბაზოთან დადგმული ძალ. გამანაწ. კარადის შემავალ გამთიშველზე.

ძალოვანი კაბელის ნულოვანი სადენი შეერთდეს კარადების კორპუსებზე დამცავი დანულების მოწყობის მიზნით.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესრულდეს ПУЭ-ს და СНиП-ის ნორმების შესაბამისი პუნქტების დაცვით.

პნ-ბი № NV-13/18	
ფ.№	ფ.რ.
2	4